Im Rahmen der genannten Gerichtspartnerschaft (in die zunehmend auch Richter des Supreme Courts eingebunden waren) habe ich im Jahr 2012 Richterin Ketevan Meskhishvili kennengelernt. Sie war seitdem gemeinsam mit einer weiteren Richterin auf georgischer Seite eine der beiden tragenden Säulen des Erfahrungs- und Meinungsaustausches zwischen den Richtern des Appellationsgerichts Tbilisi und des Supreme Courts einerseits sowie des Oberlandesgerichts Dresden andererseits. Neben ihrer überragenden fachlichen und persönlichen Qualifikation kamen ihr hierbei ihre sehr guten Kenntnisse der deutschen Sprache, vor allem auch der juristischen Fachausdrücke, zu Gute.

Frau Meskhishvili hat an vier Delegationsreisen zum Oberlandesgericht Dresden teilgenommen. Des Weiteren hat sie einmal für drei Wochen beim Oberlandesgericht Dresden hospitiert. Neben der Förderung praktischer Erfahrungen diente dieser Aufenthalt wissenschaftlichen Studien im Zusammenhang mit einer Kommentierung zum georgischen Zivilgesetzbuch. Frau Meskhishvili war zudem an allen elf Delegationsreisen beteiligt, die von den Richtern des Oberlandesgerichts Dresden in Tbilisi durchgeführt wurden.

Schon beim ersten Kontakt mit Frau Meskhishvili ist mir aufgefallen, dass sie über vorzügliche Kenntnisse des materiellen Zivilrechts und des Zivilprozessrechts sowie über eine überragende juristische Begabung verfügt. Dieser erste Eindruck hat sich in der Folge nachhaltig bestätigt.

Vor allem hat mich immer mehr beeindruckt, dass Frau Meskhishvili nicht nur ein hervorragendes Wissen besitzt, sondern dass ihre Rechtskenntnisse auch in einer nur ganz selten anzutreffenden Weise auf ein tiefgründiges rechtswissenschaftliches Fundament aufbauen. In Verbindung mit ihrem ausgeprägten rechtsdogmatischen Interesse ist Frau Meskhishvili daher im Stande, auch sehr komplizierte Wechselwirkungen zwischen einzelnen Rechtsfragen verlässlich zu erkennen und selbst in schwierigsten Bereichen homogene Lösungen zu entwickeln. Auf neu auftretende Aspekte kann sie dank ihrer exzellenten Kenntnisse und ihrer raschen Auffassungsgabe sofort sehr kompetent eingehen.

Mangels Kenntnisse der georgischen Sprache vermag ich zwar nicht zu bewerten, inwieweit die von Frau Meskhishvili gefertigten Entscheidungen folgerichtig aufgebaut und sprachlich klar gefasst sind. Aus den zahlreichen Gesprächen mit Frau Meskhishvili weiß ich aber, dass sie bestens strukturiert und ausgeprägt logisch denkt und argumentiert. Sie schichtet selbst bei sehr komplexen Lebenssachverhalten die rechtlich unerheblichen Gesichtspunkte äußerst präzise von den rechtlich relevanten Aspekten ab und gelangt hierdurch zu geradlinig entwickelten und juristisch absolut überzeugungskräftig begründeten Ergebnissen. Hierbei kommt Frau Meskhishvili auch zu Gute, dass sie sehr versiert mit der Relationstechnik umzugehen vermag.

Als eine sehr berufserfahrene Richterin besitzt sie zudem ein verlässliches Gespür für die gesellschaftlichen Rahmenbedingungen des Rechts sowie für die sozialen und wirtschaftlichen Auswirkungen richterlichen Handelns. Frau Meskhishvili macht sich keine Entscheidung leicht. Vielmehr wägt sie das Für und Wider der Aspekte sorgfältig gegeneinander ab und ringt um die richtige Lösung. Soweit erforderlich recherchiert Frau Meskhishvili umfassend die vorhandene Rechtsprechung und Literatur. Bei grundlegenden Fragen schließt dies ein, dass sie auch nach den in anderen Ländern entwickelten Lösungen erkundigt und sich mit diesen auseinandersetzt.

Durch ihre ausgesprochen vielfältigen Erfahrungen im internationalen Bereich kann Frau Meskhishvili einen wichtigen Beitrag dafür leisten, dass sich die Rechtsentwicklung in Georgien im Einklang mit jener in anderen Staaten vollzieht. Mit Blick auf die weitere Annäherung Georgiens an Europa wird dieser Aspekt, vor allem auch für den Supreme Court, in den nächsten Jahren voraussichtlich noch an Bedeutung gewinnen. Zu den internationalen Standards im Arbeitsrecht hat Frau Meskhishvili bereits an einer Tagung in der Mongolei teilgenommen und eine Schulung im Trainingszentrum der International Labour Organization in Torino absolviert. In Verbindung mit ihren Fremdsprachenkenntnissen sowie mit ihrem vorbildlichen und gewandten Auftreten wäre Frau Meskhishvili daher auch für die vielfältigen Auslandskontakte des Supreme Court von hohem Gewinn.

Ich habe auch den Eindruck, dass die internationalen Partner Georgiens zunehmend erkennen, um welch (fachlich und persönlich) herausragende Richterin es sich bei Frau Meskhishvili handelt. Anders ist für mich nicht zu erklären, dass sie im vergangenen Jahr

Einladungen zu einer Tagung des United Nations Development Programme in Moldawien, von der Botschaft der Vereinigten Staaten von Amerika und von der Europäischen Union (Aufenthalt beim Europäischen Gerichtshof in Luxemburg) erhalten hat. Zudem hat sie im Oktober 2019 an den Georgian International Arbitrations Days und im Dezember 2019 an einer Diskussion zum Medienrecht mitgewirkt sowie während des Lockdowns in Folge der Corona-Pandemie für USAID im Rahmen eines Webinars ein Interview gegeben. So wie ich Frau Meskhishvili kenne, bin ich mir auch sicher, dass sie auch auf dem internationalen Parkett eine vorzügliche Botschafterin Georgiens ist.

Frau Meskhishvili geht aufgeschlossen, freundlich und einfühlsam auf Menschen zu. Sie drängt sich nie auf und ist von einer eher bescheidenen Wesensart. In Diskussionen äußert sie ihre Meinung prägnant und gekonnt. Ihre richterlichen Überzeugungen vertritt sie einerseits mit Verbindlichkeit im Ton und in freundlicher Art, aber andererseits mit innerer Festigkeit, mit Klarheit und ohne Scheu vor einem kontroversen Diskurs. Bei allen Meinungsäußerungen besticht sie durch eine absolut präzise Analytik und durch eine beeindruckende Konzentration auf die entscheidenden Aspekte.

Frau Meskhishvili tritt für einen offenen Umgang mit den Verfahrensbeteiligten ein. Ich habe zwar nicht an Verhandlungen von Frau Meskhishvili teilgenommen. Aus vielen Gesprächen ist mir aber bekannt, wie wichtig ihr ist, dass sich der Richter nicht über die Parteien und über die Rechtsanwälte erhebt, sondern ihnen auf Augenhöhe begegnet. Deshalb ist ihr auch ein großes Anliegen, dass die Richter mit den Verfahrensbeteiligten den Dialog suchen sowie ihnen in absolut fairer Weise begegnen. Frau Meskhishvili steht insoweit für die moderne „kontinental-europäische" Art einer transparenten und kommunikativen Verhandlungsführung und für ein zukunftsorientiertes Richterbild.

Unter den Richterinnen und Richtern Georgiens ist Frau Meskhishvili nach meinem Empfinden schon fast eine Ausnahmeerscheinung. Sie hat sich zu einer unabhängigen Richterpersönlichkeit mit Rückgrat und mit angemessenem Selbstbewusstsein, nie aber mit Überheblichkeit, entwickelt. Mit ihrer zunehmend gewachsenen Berufs- und Lebenserfahrung hat Frau Meskhishvili weiter an innerer Kraft und Stärke gewonnen. In allen juristischen und justizpolitischen Bereichen bildet sie sich ihre Meinung unter einer ausgewogenen und sorgfältigen Berücksichtigung und Bewertung aller Gesichtspunkte, aber stets eigenständig und eigenverantwortlich. Zu ihren so gewonnenen Überzeugungen steht sie geradlinig und konsequent. Sie weiß zwar genau, welche Haltung in einer bestimmten Situation vordergründig bequem und kurzfristig betrachtet vielleicht sogar opportun sein könnte. Von solchen sachfremden Erwägungen lässt sie sich aber in ihrer Meinungsbildung und in ihrem Handeln nicht beeinflussen. Lieber nimmt sie für sich persönliche Nachteile in Kauf, als dass sie sich zu einem Handeln verleiten ließe, von dessen Richtigkeit sie innerlich nicht vollkommen überzeugt ist. Eine Selbstverständlichkeit ist für Frau Meskhishvili auch, dass sie ihre Loyalitätspflichten stets wahrt und dass sie sich - egal was geschieht - nicht zu Dingen äußert, zu denen man als Richter nach außen besser schweigt. Ihre Loyalität zeigt sich auch darin, dass sie mit persönlichen Enttäuschungen

souverän umgeht und auch in solchen Lebenslagen das Wohl der georgischen Justiz, nicht einen etwaigen persönlichen Vorteil, zum alleinigen Maßstab ihres Handeln und ihrer Äußerungen macht.

Sie ist hierdurch zu einer Richterin herangereift, die sich nicht nur der Verantwortung für die Verfahrensbeteiligten und für die Gesellschaft in besonderer Weise bewusst ist, sondern die auch ihre innere Unabhängigkeit immer mehr gefestigt hat. In Verbindung mit ihrer hervorragenden fachlichen Qualifikation machen sie dieses hohe richterliche Berufsethos und ihre ausgeprägt rechtsstaatliche Grundhaltung gegen jede sachwidrige Einwirkung immun.

Den Richterberuf übt Frau Meskhishvili mit Leidenschaft und erkennbarer Freude aus. Sie erbringt einen ganz außerordentlichen zeitlichen Einsatz, um gerechte Entscheidungen treffen zu können. Sie weiß, dass das Vertrauen der Bürger in die Gerichte von Richtern abhängt, die sehr gründlich und innerlich unabhängig arbeiten und sich in den Dienst des Gemeinwohls stellen. Auch hierin erweist sich Frau Meskhishvili als ein Vorbild.

Es überrascht daher nicht, dass Frau Meskhishvili nach meinem Eindruck unter den georgischen Zivilrichtern und in der georgischen Rechtswissenschaft ein hohes Ansehen genießt. Diese große Reputation schlägt sich auch darin nieder, dass ihr Lehrtätigkeiten an der High School of Justice und an einer Universität übertragen wurden und dass sie an verschiedenen wissenschaftlichen Arbeiten, etwa auch an Kommentierungen zum Zivilgesetzbuch und zur Zivilprozessordnung, zuletzt etwa zu aktuellen Fragen des Zivilrechts, beteiligt ist. Ausdruck der großen Wertschätzung ist auch, dass sie die georgische Justiz bereits bei Veranstaltungen im Ausland vertreten hat, dass sie bei vielen Anlässen als Referentin eingesetzt wird, und dass sie zum Mitglied des Independant Board der High School of Justice berufen wurde.

Unter allen Richtern der Appellationsgerichte, der Stadtgerichte und der Rayongerichte, die ich im Laufe meiner Tätigkeiten in Georgien kennengelernt habe, nimmt für mich Frau Meskhishvili den Spitzenplatz ein. Gerade für eine Tätigkeit beim Supreme Court bringt sie mit ihrer integren Art, mit ihrer inneren Unabhängigkeit sowie mit ihren exzellenten fachlichen Kenntnissen und mit ihrer ausgeprägten rechtsdogmatischen Begabung alle Voraussetzungen in ganz besonderer Weise mit. Für sie spricht zudem, dass sie zwar einerseits tiefgründig und rechtsdogmatisch präzise argumentiert sowie die Problemstellungen in allen Wechselwirkungen erfasst, andererseits aber die rechtswissenschaftliche Arbeit nie als Selbstzweck betrachtet. Vielmehr achtet sie darauf, dass ihre auf der Grundlage einer überragenden juristischen Qualifikation erarbeiteten Lösungen auch lebensnah, praxisgerecht und ausgewogen sind. Ich bin mir sicher, dass Frau Meskhishvili vom ersten Tag ihrer Tätigkeit an zu den absoluten Spitzenkräften des Supreme Courts zählen würde.

3. Schlussbemerkung:

a) Frau Meskhishvili ist wegen ihrer außergewöhnlichen fachlichen Qualifikationen und ihres absolut aufrichtigen und ehrlichen Charakters alsbald zu meiner wichtigsten Ansprechpartnerin und Ratgeberin in allen Angelegenheiten des georgischen Zivilrechts und des georgischen Zivilprozessrechts geworden. Hieraus sind im Laufe der Zeit auch persönliche Kontakte (gelegentliche gemeinsame Abendessen [teils auch mit Familie]; diverse Meinungs- und Erfahrungsaustausche per Mail; einmal ein Tagesausflug) entstanden. Auf diese freundschaftliche Beziehung möchte ich ausdrücklich hinweisen. Ich darf aber gleichzeitig versichern, dass meine Einschätzung von Frau Meskhishvili schon dieselbe war, bevor sich diese Freundschaft entwickelt hat.

b) Ich habe diese Stellungnahme in deutscher und in georgischer Sprache gefertigt. Der georgische Text wurde von Etuna Chachandize übersetzt.

[redacted]

[redacted]

09.11. 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ბ-ნ არჩილ კოჭლამაზაშვილს
ბოჭორმის ქ. 12
0144 თბილისი
საქართველო
kochlamazashvili@gmail.com

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქ-ნი ქეთევან მესხიშვილის სარეკომენდაციო წერილი

*2020 წლის 9 ნოემბრის წერილის საპასუხოდ*

ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

წინამდებარე სარეკომენდაციო წერილი ეხება საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ქ-ნ ქეთევან მესხიშვილის გამწესებას, კერძოდ, მის კვალიფიკაციას, უნარებსა და შესაძლებლობებს.

**1. რეკომენდაციის მოტივაციისა და საფუძვლების შესახებ:**

[redacted]

უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ფუნქცია დაახლეობით შესატყვისია საქართველოში სააპელაციო სასამართლოების ფუნქციისა. დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობაში შედის საქსონიის ფედერაციული მიწა (ქემნიცის, დრეზდენის, გიორლიცის, ლაიპციგისა და ცვიკაუს სამხარეო სასამართლოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები).

შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის ეგიდით 2008 წლიდან 2019 წლამდე ვმონაწილეობდი საქართველოში განხორციელებულ მართლმსაჯულების სხვადასხვა პროექტში. აღნიშნულის ფარგლებში ჩემი საქმიანობის ძირითადი ნაწილი ეძღვნებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოს შორის პარტნიორულ თანამშრომლობას. გარდა ამისა, სისტემატურად ვიყავი ჩართული და ვმონაწილეობდი უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და განხილვებში. ზემოთხსენებული პარტნიორობის ფარგლებში 2008-დან 2017 წლამდე პერიოდში დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში ვუმასპინძლეთ არაერთ ქართველ მოსამართლესა და ქართული მართლმსაჯულების სხვა წარმომადგენელს.

ჩემი რეკომენდაცია ეფუძნება იმ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც გამომდინარეობს ქ-ნ ქეთევან მესხიშვილთან ჩემი მრავალწლიანი თანამშრომლობიდან. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს აქტუალური სამოქალაქო სამართლებრივი და სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი საკითხების განხილვას სხვადასხვა სამუშაო შეხვედრის ფორმატში, სასამართლოებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში გამართულ დისკუსიებსა და მოხსენებებს, ასევე მრავალ ოფიციალურ შეხვედრას, რომლის დროსაც გვქონდა მატერიალურ და საპროცესო სამოქალაქო სამართალთან და მართლმსაჯულების პოლიტიკის თემებთან დაკავშირებით მოსაზრებების გაცვლის უხვი შესაძლებლობა. განსაკუთრებული სიღრმით მიმდინარეობს ჩვენი კორესპონდენცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარზე მუშაობისას (კომენტარი უკვე ჩაშვებულია დასაბეჭდად და სულ მალე იხილავს დღის სინათლეს), რომელშიც მეც და ქ-ნი ქეთევანიც აქტიურად ვმონაწილეობთ თანაავტორების სტატუსით. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ჩვენი თანამშრომლობა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგრძელდა.

## 2. მოსამართლე ქეთევან მესხიშვილის შესახებ

ქ-ნი ქეთევან მესხიშვილი 2012 წელს, სწორედ ზემოთ ხსენებული სასამართლო პარტნიორობის ფარგლებში (რომელშიც ბოლო წლებში უფროდაუფრო მეტი უზენაესის მოსამართლეც იღებდა მონაწილეობას) გავიცანი. ამის შემდგომ ის თავის კიდევ ერთ კოლეგა მოსამართლესთან ერთად, იყო მთავარი საყრდენი სვეტი გამოცდილებისა და აზრთა ურთიერთგაზიარებისას, რასაც სისტემატურად ჰქონდა ადგილი თბილისის სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებისა და დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოს მოსამართლეთა შორის. გარდა მისი არაჩვეულებრივი დარგობრივი კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებებისა, მას ამ ურთიერთგაცვლის ფარგლებში ძალზე წაადგა გერმანული ენის და განსაკუთრებით კი სამართლებრივი გერმანულის მაღალ დონეზე ცოდნა.

ქ-ნი ქეთევან მესხიშვილი მონაწილეობდა ქართული მხრიდან დრეზდენში გამართულ ოთხ ვიზიტში და ასევე გავლილი აქვს სამკვირიანი ჰოსპიტაცია (სამუშაო მივლინება) დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში. აღნიშნული მივლინება პრაქტიკული გამოცდილების მიღებასთან ერთად ასევე ემსახურებოდა სამეცნიერო კვლევასაც, რომელიც თავის მხრივ

დაკავშირებული იყო ქ-ნი ქეთევანის მუშაობასთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარზე. გარდა ამისა, ქ-ნი ქეთევანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანული მხარის მიერ საქართველოში გამართულ თერთმეტივე ვიზიტში.

ქ-ნ ქეთევანთან პირველივე შეხვედრისთანავე მე მასში დავინახე განსაკუთრებული ცოდნა როგორც მატერიალური ისე სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებისა და ეს პირველადი შთაბეჭდილება საბოლოოდ დადასტურდა დროთა განმავლობაში.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ჩემზე ახდენდა ის გარემოება, რომ ქ-ნ ქეთევანს აქვს არა მხოლოდ უზადო ცოდნა, არამედ მისი ეს ცოდნა ეფუძნება ძლიერ სამეცნიერო-დოქტრინულ ფუნდამენტს. მისი სამართლებრივ-დოგმატიკური ინტერესისა და ხედვის წყალობით ქ-ნ ქეთევანს მარტივად შეუძლია მეტად რთული სამართლებრივი ურთიერთმიმართებების ზუსტად შეცნობა და საკმაოდ კომპლექსურ სფეროებშიც კი ჰომოგენური გამოსავლის მოძებნა და მორგება. მისი ბრწყინვალე ცოდნისა და აღქმის აღმატებული უნარით კი ის ძალზედ სწრაფად ახერხებს ახალ სფეროებში შესაშური კომპეტენტურობით ორიენტაციას და ახალი ასპექტების გასიგრძეგანებას.

ქართული ენის არცოდნის გამო მოკლებული ვარ შესაძლებლობას, პირადად გავეცნო ქ-ნი ქეთევანის გადაწყვეტილებებს და შევაფასო ისინი, თუმცა, წლების განმავლობაში ინტენსიური თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ნაწარმოები პროფესიული საუბრებიდან გამომდინარე დანამდვილებით ვიცი, რომ იგი ძალზედ სტრუქტურირებულია, მისი ნააზრევი ყოველთვის მეტად ლოგიკურია და უზადოდ არგუმენტირებული. იგი მეტად კომპლექსური ფაქტობრივი გარემოებების პირობებშიც კი სტრუქტურირებულად და ზუსტად ამუშავებს და ერთმანეთისგან მიჯნავს სამართლებრივად რელევანტურ და არარელევანტურ ინფორმაციასა და ასპექტებს და ამ გზით თანმიმდევრულად მიდის სამართლებრივად გამართულ, დამაჯერებელ, დასაბუთებულ შედეგებამდე. ამაში მას რელაციის ტექნიკის უზადო ცოდნაც ეხმარება.

მას, როგორც გამოცდილ მოსამართლეს განვითარებული აქვს სამართლის საზოგადოებრივი კონტექსტისა და დანიშნულების, ასევე სამოსამართლო საქმიანობის სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეგრძნების უნარი. ქ-ნი ქეთევანისთვის არც ერთი გადაწყვეტილება არ არის მარტივი. იგი ყველა საქმეში მისთვის დამახასიათებელი გულისყურითა და გულისხმიერებით აანალიზებს ორივე საპირისპირო პოზიციას, გარემოებებსა და არგუმენტებს, რათა მივიდეს სწორ შედეგამდე. საჭიროების შემთხვევაში, ქ-ნი ქეთევანი ძირეულად იკვლევს შესაბამის სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინას. პრინციპული საკითხების შესწავლა-განსახილველად იგი ასევე გულისყურით იკვლევს და აანალიზებს სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ მიდგომებს.

თავისი საოცრად მრავალფეროვანი გამოცდილებით საერთაშორისო სფეროში ქ-ნი ქეთევანი ხელს უწყობს ქართული სამართლის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს ევროპასთან დაახლოების ჭრილში აღნიშნული ასპექტი მეტად მნიშვნელოვნად მესახება. ქ-ნი ქეთევანი ასევე ზედმიწევნით იცნობს შრომის სამართლის საერთაშორისო სტანდარტებს, რაც დასტურდება მისი მონაწილეობით საერთაშორისო

შეხვედრებსა და სასწავლო ვიზიტებში მონღოლეთსა და ტორინოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სასწავლო ცენტრში. ქ-ნი ქეთევანი თავისი სანიმუშო და მოხერხებული მანერით და ასევე უცხო ენების ცოდნით დიდი მონაპოვარი იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის.

ეჭვგარეშეა, რომ საერთაშორისო პარტნიორები ხედავენ და აფასებენ მოსამართლე ქეთევან მესხიშვილის მაღალ კვალიფიკაციას და სხვა აუცილებელ კომპეტენციებს, რაც ხსნის მის აქტიურ ჩართვას საერთაშორისო ღონისძიებებში და უკანასკნელ წელს განხორციელებულ არაერთ მიწვევას გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ (მოლდავეთში), ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ, ევროკავშირის მიერ (ვიზიტი ევროკავშირის სასამართლოში, ქ. ლუქსემბურგში). ამასთან, ქ-ნი ქეთევანი 2019 წელს აქტიურად იყო ჩართული ქართული არბიტრაჟის დღეებში და მედია-სამართალთან დაკავშირებით 2019 წლის დეკემბერში გამართულ ღონისძიებაში. გარდა ამისა, პანდემიის დროს ის გახლდათ USAID-ის მიერ ორგანიზებული ვებინარის რესპოდენტი. ამრიგად, დიდი დამაჯერებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ქ-ნი ქეთევან მესხიშვილი საერთაშორისო არენაზეც სათანადოდ და ღირსეულად წარმოადგენს საქართველოს.

ქ-ნი ქეთევანი გამოირჩევა მისი ღია, თავაზიანი და ემფატიური განწყობით ადამიანების მიმართ. ამასთან, ის არასდროს ცდილობს, მოექცეს ყურადღების ცენტრში, არამედ უფრო მოკრძალებული, თავმდაბალი ნატურაა. დისკუსიისას ქ-ნი ქეთევანი თავის აზრს გამოთქვამს მკაფიოდ და მოხერხებულად, ხოლო მისი, როგორც მოსამართლის მოსაზრებებს - ყოველთვის კეთილგანწყობილი და გააზრებული ტონით, თუმცა, იმავდროულად დიდი შინაგანი სიმტკიცით, სიცხადით, რომელიც არ ერიდება არც ცხარე დისკურსსაც. ქ-ნი ქეთევანის მსჯელობა ნამდვილად გამოირჩევა ზუსტი ანალიტიკითა და არსებითზე შთამბეჭდავი კონცენტრირებით.

ქ-ნი ქეთევანი წარმოების მონაწილეებთან გახსნილი და ავთენტურია. მართალია, პირადად არ დავსწრებივარ მის სხდომებს, თუმცა, მრავალი საუბრიდან ჩემთვის ცნობილია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის, რომ მოსამართლე არ უყურებდეს მხარეებსა და ადვოკატებს ქედმაღლურად, არამედ ეძებდეს მათთან ღია დიალოგს და აწარმოებდეს თანასწორობაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას. ამით კი, ქ-ნი ქეთევანი ცხადჰყოფს, რომ ემხრობა სასამართლო სხდომის თანამედროვედ, „კონტინენტურ-ევროპული" სახით გამჭვირვალედ და კომუნიკაციურად წარმართვას და მომავალზე ორიენტირებული მოსამართლის სურათის დანერგვას.

ჩემი შეფასებით ქ-ნი ქეთევანი ნამდვილად გამორჩეულია ჩემთვის ნაცნობ ყველა ქართველ მოსამართლეს შორის; ის დამოუკიდებელი მოსამართლეა. მისი დამოუკიდებლობა ეფუძნება და საზრდოობს მისი პროფესიონალიზმითა და ზომიერი თვითდაჯერებულობით, ასევე მისი მზარდი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილებით და არასოდეს - გადაჭარბებული თვითშეფასებით. იურისპრუდენციისთვის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ქ-ნი ქეთევანი საკუთარ აზრს იქმნის ყველა არსებული მოსაზრებისა და ასპექტის ურთიერთშეწონვისა და გაანალიზების საფუძველზე, თუმცა, ყოველთვის საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე და საკუთარი პასუხისმგებლობით. მისი ამ გზით ჩამოყალიბებული მოსაზრებების მიმართ ის სწორხაზოვანი და თანმიმდევრულია. მისი გადაწყვეტილებებიც და ქცევაც თავისუფალია ყოველგვარი ზეგავლენისგან. მაშინ, როდესაც ქ-ნი ქეთევანი არ

არის სრულად და შინაგანად დარწმუნებული გარკვეული ქმედების სისწორესა და აუცილებლობაში, ის მზად არის საკუთარი შეზღუდვისა და დათმობის ხარჯზე, არ გადადგას შესაბამისი ნაბიჯი. მისთვის თავისთავად ცხადი და ბუნებრივია თავისი ლოიალურობა და მისი დაცვა, როდესაც არ არის მიზანშეწონილი მოსამართლის მხრიდან სასამართლოს ფარგლებს გარეთ გარკვეული საკითხების განხილვა. აღნიშნულ ლოიალობაზე ის მაღალ პროფესიონალურ დონეზე ავლენს ასევე იმით, რომ ის მეტად სუვერენულად უმკლავდება გარკვეულ იმედგაცრუებებს და ასეთ შემთხვევებშიც კი მოქმედებს საქართველოს მართლმსაჯულების და არა მისი პირადი თუ პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ მართლმსაჯულების ინტერესი გახლავთ მისი მოქმედებებისა და ქცევის მასშტაბი.

ამრიგად, ქ-ნი ქეთევანი ჩამოყალიბდა და მომწიფდა ისეთ მოსამართლედ, რომელიც არა მხოლოდ ზედმიწევნით აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას სასამართლოს მომხმარებლებისა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე, არამედ ასევე მუდმივად ავითარებს თავის შინაგან დამოუკიდებლობას. უკვე არაერთგზის ხსენებულ მის კვალიფიკაციასთან ერთად კი ასეთი მაღალი სამოსამართლო ეთოსი და მისი მაღალი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ხედვა შეურყევ იმუნიტეტს ქმნის ყოველგვარი ჩარევისა და ზეგავლენის მიმართ.

სამოსამართლო საქმიანობას ქ-ნი ქეთევანი დიდი სიხარულითა და სიყვარულით ახორციელებს და ძალიან დიდი დროის ინვესტირებას ახდენს სამართლიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. მან ძალიან კარგად უწყის, რომ სასამართლოს მიმართ ნდობა განპირობებულია ცალკეულ მოსამართლეთა ქცევითა და საქმიანობით, რომლებიც მუშაობენ საფუძვლიანად და დამოუკიდებლად და ემსახურებიან საყოველთაო კეთილდღეობას. ამ მხრივაც ქ-ნი ქეთევანი სამაგალითო და გამორჩეული გახლავთ.

ამრიგად, ჩემთვის ბუნებრივი და ლოგიკურია ქ-ნი ქეთევანის მაღალი რეპუტაცია კოლეგა მოსამართლეებსა და ზოგადად, ქართულ იურიდიულ წრეებში. აღნიშნული გამოიხატება ასევე იმაში, რომ ქ-ნი ქეთევანი მიწვეულია და საქმიანობს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და ასევე ეწევა აქტიურ აკადემიურ საქმიანობას უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ის აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო და კვლევით პროექტებში, მაგალითად, როგორიცაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები და სამოქალაქო სამართლის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული სხვა პლატფორმა თუ პროექტები. დიდი აღიარების დასტურია ასევე, როდესაც ქ-ნი ქეთევანი არაერთ საერთაშორისო ფორმატში მომხსენებლის რანგში წარმოადგენს ქართულ მართლმსაჯულებას და ასევე მისი მიწვევა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრად.

ყველა იმ მოსამართლეს შორის, სააპელაციო, საქალაქო და რაიონული სასამართლოებიდან, რომლებიც კი გამიცნია ჩემი საქართველოში საქმიანობის პერიოდში, ქალბატონი ქეთევანი ჩემთვის მოწინავე ადგილს იკავებს. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი მოსამართლედ გამწესება დიდი სარგებელი და სიკეთეა ქართული მართლმსაჯულებისთვის და ჩემი აზრით, აუცილებელიც კი. მისი კეთილსინდისიერების, შინაგანი დამოუკიდებლობის, ბრწყინვალე დარგობრივი ცოდნის, და აგრეთვე სამართლის

დოგმატიკის შესაშური ნიჭის წყალობით ქ-ნი ქეთევანი დანამდვილებით და განსაკუთრებულად მაღალი ხარისხით აკმაყოფილებს ყველა წინაპირობას უმაღლეს ინსტანციაში გასამწესებლად. ამაზე, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მეტყველებს ისიც, რომ, ერთი მხრივ, მისი არგუმენტაცია საფუძვლიანი და ზუსტია სამართლის დოგმატიკის შესაბამისად, სადაც მეტად კომპლექსური, პრობლემური კონსტელაციები ყველა ურთიერთმიმართების ჩათვლითაა მოცული, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი საქმიანობა მისთვის არასდროს არ არის თვითმიზანი, არამედ მისი მიერ ბრწყინვალე იურიდიული კვალიფიკაციის საფუძველზე შემუშავებული პრობლემის გადაჭრის გზები ყოველთვის რეალისტური, პრაქტიკის შესატყვისი და დაბალანსებულია. სრული დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ქ-ნი ქეთევანი თავისი უფლებამოსილების განხორციელების პირველივე დღიდან მოწინავე ადგილს დაიკავებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### 3. დასკვნითი შენიშვნა

ა) ქ-ნი ქეთევანი მისი არაჩვეულებრივი დარგობრივი კვალიფიკაციისა და ასევე არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ჩემთვის საუკეთესო კოლეგად და მრჩევლად იქცა, როცა საქმე ქართულ კერძო სამართალს ეხება. აღნიშნული მჭიდრო თანამშრომლობა დროთა განმავლობაში გადაიზარდა მეგობრობაში (რაც გამოიხატება პერიოდულად ერთობლივ ვახშმობაში [ზოგჯერ აგრეთვე ოჯახის წევრებთან ერთად], ასევე აზრთა და გამოცდილების ურთიერთგაცვლაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ერთხელ ერთობლივ ექსკურსიაში მონაწილეობით). აქედან გამომდინარე, მსურს ხაზგასმით მივუთითო ჩემსა და ქეთევანს შორის არსებულ ამ მეგობრულ ურთიერთობაზე. თუმცაღა, თავს ნებას მივცემ ამავდროულად დაგარწმუნოთ, რომ ჩემი შეფასებები იგივე იყო მანამდეც, სანამ ჩვენ შორის ეს მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა.

ბ) წინამდებარე რეკომენდაცია წარმოდგენილია გერმანულ და ქართულ ენებზე.

ტექსტი გერმანულიდან ქართულად თარგმნა ეთერ ჩაჩანიძემ.

[redacted]

[redacted]

09.11.2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ბ-ნ არჩილ კოჭლამაზაშვილს
ბოჭორმის ქ. 12
0144 თბილისი
საქართველო
kochlamazashviliarchil@gmail.com

ქ-ნი ქეთევან მესხიშვილის სარეკომენდაციო წერილი

ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

წინამდებარე სარეკომენდაციო წერილით მოგმართავთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ქ-ნი ქეთევან მესხიშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით.

[redacted]

[redacted] ჩემი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე და შემიძლია ვთქვა, რომ ის არის გამორჩეული მოსამართლე, როგორც მისი პროფესიული, ისე პიროვნული თვისებებით. მე არაერთგზის მქონდა შესაძლებლობა, დავრწმუნებულიყავი ამაში, ვინაიდან ქ-ნი ქეთევანი მჭიდროდ თანამშრომლობდა ჩვენს პროგრამასთან, რაც გამოიხატებოდა აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე მიმდინარე პროექტებში აქტიური ჩართულობით და უაღრესად სასარეგბლო კონტრიბუციით. ესენია: სამოქალაქო კოდექსის

კომენტარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი, სასამართლოს თანამშრომლებისთვის, მოქმედი მოსამართლეებისთვისა და იუსტიციის სკოლის მსმენელებისთვის ტრენინგების მომზადება-განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით. ქ-ნი ქეთევანი არის ჩვენი მხარდაჭერით შემუშავებული რამდენიმე სასწავლო მოდულის ტრენერი: რელაციის მეთოდი, სამეწარმეო სამართალი, სამოქალაქო პროცესი და ტრენერთა მეთოდიკის ტრენინგი. ამისათვის ქ-ნ ქეთევანს გავლილი და მიღებული აქვს ტერნერის საერთაშორისო სტანდარტის კვალიფიკაცია და ხარისხი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქ-ნი ქეთევანი აქტიურია აკადემიური მიმართულებით და მუშაობს თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ქ-ნი ქეთევან მესხიშვილი ის იურისტია, რომელიც კანონის პრაქტიკოსის გარდა არის ჩინებული მკვლევარიც. აღნიშნულზე მეტყველებს სწორედ ჩვენი ბოლო ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც გამოვეცით ქ-ნი ქეთევანის სტატიების კრებული. უნიკალური პუბლიკაცია, სადაც იგი თავისი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე მეცნიერულ დონეზე და ჭრილში მიმოიხილავს სამართლებრივ საკითხებს და გვთავაზობს პრაქტიკითა და დოქტრინალური მსჯელობით გაჯერებულ ანალიზს.

ქ-ნი ქეთევანი შესანიშნავად ფლობს არა მხოლოდ ქართულ, არამედ ასევე საერთაშორისო კანონმდებლობას, ზედმიწევნით იცნობს ქართულ და საერთაშორისო, მათ შორის, გერმანიის სასამართლო პრაქტიკასა და ტენდენციებს.

მისი მოსაზრებები, რომლებსაც ქ-ნი ქეთევანი გამოხატავს მისთვის ჩვეული ზომიერებითა და დამაჯერებლობით, ეფუძნება მეტად დაბალანსებულ მიდგომას, რაც გულისხმობს ყველა არსებული პოზიციის ურთიერთ-შეჯერებას და ყოველივეზე საკუთარი დასაბუთებული აზრის ჩამოყალიბებას. ამრიგად, ქ-ნი ქეთევანისთვის არც ერთი საქმე არ არის უმნიშვნელო, არც ერთი გადაწყვეტილება არ არის მარტივი. იგი კარგად აცნობიერებს თითოეული მოსამართლის საქმიანობის მნიშვნელობას მთელი სასამართლო სისტემისთვის, მისი რეპუტაციისა და გამართულობისთვის. ამ მხრივაც ქ-ნი ქეთევანი არის სანიმუშო მოსამართლე.

ქ-ნი ქეთევანის გადაწყვეტილებები თავად მეტყველებს მისი დამოუკიდებლობის ხარისხზე, რაც საარსებოდ მნიშვნელოვანია თითოეული მოსამართლისთვის. ის საუკეთესოდ ახერხებს

მტკიცე პოზიციის შენარჩუნებას მეტად კომპლექსური და მტკივნეული საკითხების განხილვა-გაანალიზების შემთხვევებშიც. ქ-ნი ქეთევანის მთელი ძალისხმევა სრულად მიმართულია სწორი, სამართლიანი, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც ეფუძნება სამართლიანი წარმოებისა და მხარეთა პოზიციების ურთიერთ-შეჯერების, პრაქტიკისა და დოქტრინის გაანალიზების კომპლექსურ პროცესს. შესაბამისად, ქ-ნი ქეთევან მესხიშვილის გადაწყვეტილებები ყოველთვის სტრუქტურირებული, არგუმენტირებული, დამაჯერებელი და ლოგიკურია. წარმოუდგენელია მოსამართლის დამოუკიდებლობა მაღალი პროფესიონალიზმის გარეშე. მისი დამოუკიდებლობა და მედეგობა სწორედაც რომ საზრდოობს ქ-ნი ქეთევანის უზადო ცოდნით, მისი ანალიტიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარით, მისი კეთილსინდისიერებითა და უსაზღვრო გულისხმიერებით.

აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკური და გამართლებულია მისი მაღალი რეპუტაცია, რითაც ის სარგებლობს კოლეგებს, აკადემიურ და ზოგადად იურიდიულ წრეებს შორის.

ქ-ნი ქეთევანი გარდა ზემოთხსენებული კომპეტენციებისა, კარგად ფლობს გერმანულ და ინგლისურ ენებს, რაც ხელს აძლევს მას, გაეცნოს უცხო, განვითარებული ქვეყნებისა და სისტემების დოქტრინას, პრაქტიკას, ლიტერატურას და ზოგადად, გამოცდილებას. ასევე, წარმოადგინოს საქართველოს სასამართლო სისტემა საერთაშორისო არენაზე.

ჩვენი პროგრამის ეგიდით თითქმის 7 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პარტნიორული თანამშრომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოებს შორის, რომლის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს მართლმსაჯულებისთვის ბევრი სასიკეთო პროექტი. ჩვენი გერმანელი კოლეგები მუდმივად უსვამდნენ ხაზს, რომ ქ-ნი ქეთევანი იყო ამ თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და გამწევი ძალა, რომ იგი მუდმივად ღიაა სასიკეთო სიახლეების ათვისებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვისთვის.

ქ-ნი ქეთევანი მისი არაჩვეულებრივი პროფესიული კვალიფიკაციისა და ასევე გამორჩეული პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ნამდვილად არის უზენაესი ინსტანციისთვის შესაფერისი კანდიდატი. ჩემი შეხედულებით, იგი სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, როგორიცაა, მაღალი კვალიფიკაცია, კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა.

წინამდებარე რეკომენდაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე, რაშიც დახმარება გამიწია ჩემმა კოლეგამ, თამარ ზოდელავამ.

[redacted]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი

## რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ესაჭიროება თქვენი შეფასება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარსადგენ კანდიდატთან დაკავშირებით. გთხოვთ, შეავსოთ წინამდებარე რეკომენდაცია და დაუბრუნოთ იგი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

შენიშვნა: ტექსტი უნდა შეივსოს ქართული ანბანით, 11-იანი შრიფტით

რეკომენდატორის სახელი, გვარი: [redacted]

რეკომენდატორის თანამდებობა:

რეკომენდატორის ტელეფონი,
ელექტრონული ფოსტა:

კანდიდატის სახელი, გვარი: ქეთევან მესხიშვილი

საიდან და რამდენი ხანია იცნობთ კანდიდატს? [redacted]

HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA
www.hcoj.gov.ge

მის პირად თვისებებს: ☐ არ იცნობთ ☒იცნობთ საშუალოდ ☐ იცნობთ კარგად

მის პროფესიულ კვალიფიკაციას: ☐ არ იცნობთ ☐ იცნობთ საშუალოდ ☒ იცნობთ კარგად

გთხოვთ, კანდიდატი შეაფასოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კეთილსინდისიერება

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

პასუხისმგებლიანი და გულისხმიერი დამოკიდებულება, როგორც კოლეგებთან ურთიერთობაში, ასევე სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისადმი, განაპირობებს ქეთევან მესხიშვილის მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს, იგი გამოირჩევა დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობით და მისთვის ყოველთვის პრიორიტეტულია მისი პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი.

---

- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სამართლიანობა

მისი გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთების მაღალი სტანდარტით. მის გადაწყვეტილებებში ყოველთვის იკვეთება დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და მათი სამართლებრივი შეფასებისადმი მაღალი პროფესიონალური მიდგომა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის კრიტერიუმების დაცვით. ავლენს მტკიცე ხასიათს და გარე ზეგავლენების (მაგ:წინასწარ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის) მიუხედავად, მხოლოდ კანონის და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების კვალობაზე მიიღოს გადაწყვეტილება.

---

- პიროვნული და პროფესიული ქცევა

არის პასუხისმგებლიანი და გულისხმიერი. გამოირჩევა გაწონასწორებული ხასიათით და აქვს უნარი სიტუაციის გამწვავების მიუხედავად, შეინარჩუნოს სიმშვიდე. აქვს დამაჯერებელი და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. აქვს უნარი გულდასმით მოისმინოს მისი მოსაზრების საწინააღდეგო მოსაზრებები. მასთან ერთ კოლეგიაში მუშაობის შესაძლებლობა არაერთხელ მქონია და მინდა ხაზგასმით დავაფიქსირო, რომ საქმიანობის განხორციელებისას სრულად კონცენტრირებულია საქმეზე, შესწევს უნარი პროცესის მონაწილე მხარეს გასაგებად განუმარტოს, თუ რატომ იქნა მხარის,

ან მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ან არგუმენტაცია გაზიარებული ან უარყოფილი. მისი მაღალი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე ის ადვილად ახერხებს წაგებული მხარე დაარწმუნოს მიღებული გადაწყვეტილების მართებულობაში.

---

- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები, რაზეც უკვე მივუთითეთ, განაპირობებს მის მაღალ პიროვნულ და პროფესიულ ავტორიტეტს.

---

კომპეტენტურობა

- სამართლის ნორმების ცოდნა

გამოირჩევა, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სიღრმისეული ცოდნით. ის ჩართულია სამეცნიერო კვლევებში და კარგად იცნობს საზღვარგარეთის ქვეყნების, განსაკუთრებით გერმანიის კერძო სამართალს, დეტალურად იცნობს როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას საინტერესო და პრობლემატურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

---

- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

ქეთევან მესხიშვილის ის უნარი, რომ გულდასმით და გულისხმიერად შეისწავლოს ყოველი კონკრეტული საქმე, მას უმარტივებს დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკვანძო საკითხების გამოკვეთას და მათ შეფასებას სამართლებრივი ნორმების გამოყენებით. სამართლებრივი დასაბუთების გაკეთებისას მის მსჯელობაში ვლინდება ლოგიკური კავშირები და გადასვლები, როგორც საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებების დადგენისას, ასევე სამართლებრივი შეფასებების ჩამოყალიბებისას. მის მიერ გაკეთებულ დასკვნებს ყოველთვის გააჩნია მყარი და დამაჯერებელი არგუმენტაცია, კარგად იყენებს დაგროვილ ცოდნას, გამოცდილებას და განსაკუთრებულ, რთულ სამართლებრივ სიტუაციებშიც დამაჯერებლად აკეთებს საინტერესო და მნიშვნელოვან განმარტებებს სხვადასხვა პრობლემატურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

---

- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

აქვს მარტივად და გასაგებად წერის მანერა, გააჩნია რთული სამართლებრივი მსჯელობის და სამართლებრივი დასაბუთების გასაგებად და დახვეწილად ჩამოყალიბების უნარი, რა დროსაც მართებულად იყენებს შესაბამის გრამატიკულ კნსტრუქციებს. არის კომუნიკაბელური და ადვილად შედის კონტაქტში. მასთან საუბარი ყოველთვის ინფორმაციული და საინტერესოა. მისი

კომუნიკაბელურობის და ურთიერთობის დახვეწილი მანერა უადვილებს მხარეებთან ურთიერთობას და სხდომის სწორად
მართვას.

---

- პროფესიული თვისებები

ადვილად შეუძლია კონცენტრირების გაკეთება და თავისი შესაძლებლობების მობილიზება. პუნქტუალურია და ახასიათებს დროის რაციონალურად გამოყენების უნარი. ამ თვისებების წყალობით ის კარგად უთავსებს სამოსამართლო საქმიანობას თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას.

---

- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

სისტემატურად იღებს მონაწილეობას სემინარებსა და ტრენინგებში, აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა კონფერენციებში. მოსამართლეებისათვის გამართულ ტრენინგებსა და სემინარებში ქეთევან მესხიშვილი თავად მონაწილეობს, როგორც ტრენერი. იგი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას (ქეთევან მესხიშვილი თბილისის თვისუფალი უნივერსიტეტის სრული პროფესორია და უძღვება ვალდებულებითი სამართლისა და სამოქალაქო პროცესის კურსებს).

---

- პროფესიული აქტივობა

ქეთევან მესხიშვილი მუშაობდა საქაართველოს უზენაეს სასამართლოში მთარგმნელის, სპეციალისტის, მთავარი სპეციალისტის, კონსულტანტის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე. იგი ხელმძღვანელობდა კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დეპარტამენტს. 2010 წლიდან დანიშნულია მოსამართლედ და ახორციელებს სამოსამართლო საქმიანობას. ვფიქრობ, რომ მისი ასეთი კარიერული წინსვლა, თავადვე მეტყველებს მის პროფესიულ აქტივობაზე და მის უნარზე მოახდინოს თავისი პროფესიული შესაძლებლობების სრულად
რელიზება.

---

გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ დამატებით შეკითხვებს:

დაასახელეთ კანდიდატის ყველაზე გამორჩეული დადებითი თვისებები:

შრომისმოყვარეობა, კომპეტენტურობა, კეთილსინდისიერება

დაასახელეთ კანდიდატის სისუსტეები და
ნაკლოვანებები:

ასეთზე მითითების საფუძველი არ გამაჩნია

---

როგორ შეაფასებდით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე
კანდიდატის შესაბამისობას?

მისი გამოცდილების და დაგროვილი ცოდნის გათვალისწინებით, ასევე მისი პიროვნული
თვისებებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ქალბატონი ქეთევან მესხიშვილი ფლობს ყველა იმ უნარ-
ჩვევებს და თვისებებს, რომლებიც აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მოსამართლის მაღალი თანამდებობის დასაკავებლად. ამდენად, მისი კანდიდატურა სრულად
შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას.

---

[redacted]

თარიღი:
12.11.2020

[redacted]

09.11. 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ბ-ნ არჩილ კოჭლამაზაშვილს
ბოჭორმის ქ. 12
0144 თბილისი
საქართველო
kochlamazashvili@gmail.com

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქ-ნი ქეთევან მესხიშვილის სარეკომენდაციო წერილი

*2020 წლის 9 ნოემბრის წერილის საპასუხოდ*

ღრმად პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

წინამდებარე სარეკომენდაციო წერილი ეხება საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ქ-ნ ქეთევან მესხიშვილის გამწესებას, კერძოდ, მის კვალიფიკაციას, უნარებსა და შესაძლებლობებს.

**1. რეკომენდაციის მოტივაციისა და საფუძვლების შესახებ:**

[redacted] უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ფუნქცია დაახლოებით შესატყვისია საქართველოში სააპელაციო სასამართლოების ფუნქციისა. დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობაში შედის საქსონიის ფედერაციული მიწა (ქემნიცის, დრეზდენის, გიორლიცის, ლაიპციგისა და ცვიკაუს სამხარეო სასამართლოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები).

შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) სამართლის პროგრამის ეგიდით 2008 წლიდან 2019 წლამდე ვმონაწილეობდი საქართველოში განხორციელებულ მართლმსაჯულების სხვადასხვა პროექტში. აღნიშნულის ფარგლებში ჩემი საქმიანობის ძირითადი ნაწილი ეძღვნებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოს შორის პარტნიორულ თანამშრომლობას. გარდა ამისა, სისტემატურად ვიყავი ჩართული და ვმონაწილეობდი უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და განხილვებში. ზემოთხსენებული პარტნიორობის ფარგლებში 2008-დან 2017 წლამდე პერიოდში დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში ვუმასპინძლეთ არაერთ ქართველ მოსამართლესა და ქართული მართლმსაჯულების სხვა წარმომადგენელს.

ჩემი რეკომენდაცია ეფუძნება იმ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც გამომდინარეობს ქ-ნ ქეთევან მესხიშვილთან ჩემი მრავალწლიანი თანამშრომლობიდან. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს აქტუალური სამოქალაქო სამართლებრივი და სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი საკითხების განხილვას სხვადასხვა სამუშაო შეხვედრის ფორმატში, სასამართლოებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში გამართულ დისკუსიებსა და მოხსენებებს, ასევე მრავალ ოფიციალურ შეხვედრას, რომლის დროსაც გვქონდა მატერიალურ და საპროცესო სამოქალაქო სამართალთან და მართლმსაჯულების პოლიტიკის თემებთან დაკავშირებით მოსაზრებების გაცვლის უხვი შესაძლებლობა. განსაკუთრებული სიღრმით მიმდინარეობს ჩვენი კორესპონდენცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარზე მუშაობისას (კომენტარი უკვე ჩაშვებულია დასაბეჭდად და სულ მალე იხილავს დღის სინათლეს), რომელშიც მეც და ქ-ნი ქეთევანიც აქტიურად ვმონაწილეობთ თანაავტორების სტატუსით. პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ჩვენი თანამშრომლობა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგრძელდა.

## 2. მოსამართლე ქეთევან მესხიშვილის შესახებ

ქ-ნი ქეთევან მესხიშვილი 2012 წელს, სწორედ ზემოთ ხსენებული სასამართლო პარტნიორობის ფარგლებში (რომელშიც ბოლო წლებში უფროდაუფრო მეტი უზენაესის მოსამართლეც იღებდა მონაწილეობას) გავიცანი. ამის შემდგომ ის თავის კიდევ ერთ კოლეგა მოსამართლესთან ერთად, იყო მთავარი საყრდენი სვეტი გამოცდილებისა და აზრთა ურთიერთგაზიარებისას, რასაც სისტემატურად ჰქონდა ადგილი თბილისის სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებისა და დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოს მოსამართლეთა შორის. გარდა მისი არაჩვეულებრივი დარგობრივი კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებებისა, მას ამ ურთიერთგაცვლის ფარგლებში ძალზე წაადგა გერმანული ენის და განსაკუთრებით კი სამართლებრივი გერმანულის მაღალ დონეზე ცოდნა.

ქ-ნი ქეთევან მესხიშვილი მონაწილეობდა ქართული მხრიდან დრეზდენში გამართულ ოთხ ვიზიტში და ასევე გავლილი აქვს სამკვირიანი ჰოსპიტაცია (სამუშაო მივლინება) დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოში. აღნიშნული მივლინება პრაქტიკული გამოცდილების მიღებასთან ერთად ასევე ემსახურებოდა სამეცნიერო კვლევასაც, რომელიც თავის მხრივ

დაკავშირებული იყო ქ-ნი ქეთევანის მუშაობასთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარზე. გარდა ამისა, ქ-ნი ქეთევანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანული მხარის მიერ საქართველოში გამართულ თერთმეტივე ვიზიტში.

ქ-ნ ქეთევანთან პირველივე შეხვედრისთანავე მე მასში დავინახე განსაკუთრებული ცოდნა როგორც მატერიალური ისე სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებისა და ეს პირველადი შთაბეჭდილება საბოლოოდ დადასტურდა დროთა განმავლობაში.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ჩემზე ახდენდა ის გარემოება, რომ ქ-ნ ქეთევანს აქვს არა მხოლოდ უზადო ცოდნა, არამედ მისი ეს ცოდნა ეფუძნება ძლიერ სამეცნიერო-დოქტრინულ ფუნდამენტს. მისი სამართლებრივ-დოგმატიკური ინტერესისა და ხედვის წყალობით ქ-ნ ქეთევანს მარტივად შეუძლია მეტად რთული სამართლებრივი ურთიერთმიმართებების ზუსტად შეცნობა და საკმაოდ კომპლექსურ სფეროებშიც კი ჰომოგენური გამოსავლის მოძებნა და მორგება. მისი ბრწყინვალე ცოდნისა და აღქმის აღმატებული უნარით კი ის ძალზედ სწრაფად ახერხებს ახალ სფეროებში შესაშური კომპეტენტურობით ორიენტაციას და ახალი ასპექტების გასიგრძეგანებას.

